


K 70-598
3

საქართველოს სსრ აკადემიურების ღამების სამინისტროს
ქაროვნითა მთავარი სამართველოს ქაროვნობრივის ღა
ვიზიონთარების სახაზნიარო-ქალევითი ინსტიტუტი



ე. ფარანგაც

ევარეაუროვთა მქანალობის მათოლელი გენამი

საქართველოს სსრ
სამართლის გამომდევნება
თბილისი
1953


614.213
საქართველოს
კულტურის
მინისტრის
ბიბლიოთეკის
მუზეუმი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს
კულტურის მინისტრის მთავარი სამსახურთველოს კულტურის მინისტრის
და ფიზიკოთექნიკის სამსახურის-კვლევითი ინსტიტუტი

დოკ. შ. კ. ფარჯანაძე

ავაღმარწია
გვერნალოგის გათოდის
მანჯუ

K 40.598
3



საქართველოს სსრ
საგენტონო გამოგვევლობა
თ ბ ი ლ ი ს ი 0

1953



შინასითუმაობა

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საკურორტო გვენებლობას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა.

მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე მთელ რიგ კურორტებს შორის მენჯი ყველაზე ახალი კურორტია, ~~შესაძლებლობა მომზადების მიზანის სამკურნალო წყლის და სხვა სამკურნალო-კურორტულ ფაქტორთა კომპლექსის შედეგად დიდი პოპულარობა მოიპოვა.~~ ამ კურორტმა მოკლე დროის განმავლობაში თავისი სამკურნალო წყლის და სხვა სამკურნალო-კურორტულ ფაქტორთა კომპლექსის შედეგად დიდი პოპულარობა მოიპოვა.

უკანასკნელ წლებში კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ შესწავლილ იქნა მენჯის საკურორტო ფაქტორთა მოქმედება ორგანიზმზე როგორც კლინიკურად, ისე ექსპერიმენტულად, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა მკურნალობის მეთოდი სხვადასხვა დაავადებათა დროს.

ავადმყოფთა მკურნალობა უნდა ტარდებოდეს ერთიანი წესით; რასაკვირველია, არ შეიძლება ექიმშია აღნიშნული მეთოდი უცვლელად გამოიყენოს ყოველი ავადმყოფის მიმართ. ავადმყოფის მკურნალობის დროს საჭიროა ექიმის ინდივიდუალური მიღებამა ცალკეული ავადმყოფისადმი.

ამჟამად, დიდი რუსი ფიზიოლოგის აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მოძღვრებამ ფართო გამოყენება პპოვა მედიცინის ყველა დარგში, განსაკუთრებით კი კურორტოლოგიაში. აშასთან დაკავშირებით, კურორტებზე სამკურნალო საქმე ძირდეს ვიანდ უნდა გარდაიქმნას პავლოვის მოძღვრების საფუძველზე; თუ დღემდე ავადმყოფთა კომპლექსურ მკურნალობას ნაკლები ყურადღება ექცევოდა, დღეიდან ის საფუძველი უნდა გახდეს კურორტზე წარმოებული სამკურნალო მუშაობისა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ მიგვეწოდებინა კურორტზე მომუშავე ექიმებისათვის ძირითადი ცნობები იმ სამკურნალო საშუალებების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძირითად კურორტულ ფაქტორთან ერთად, და დაგვედგინა ამ კურორტისათვის ჩვენებანი და წინააღმდეგ ჩვენებანი. მეთოდიკის შედგენის დროს ვხელმძღვანელობდით იმ შრომებით, რომლებიც მოიპოვება კურორტ მენჯისა და მისი ანალოგის—მაცესტის შესახებ.

დოკ. ჭ. ფარჯანაძე

ქურორტი მენჯის სამკურნალო ფაზოლები და მათი გავლენა ორგანიზაციები

კურორტი მენჯი მდებარეობს ზღვიდან 28 კილომეტრის დაშორებით (პირდაპირი ხაზით), ზღვის დონედან 25—30 მეტრის სიმაღლეზე, რაც უზრუნველყოფს კარგ კლიმატურ პირობებს კომპლექსური მკურნალობისათვის; იგი თავისი სამკურნალო გოგირდწყალბადიანი წყლებით მიეკუთვნება ბალნეოლოგიურ კურორტთა ჯგუფს.

მენჯის ჭყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და გეოლოგია

მენჯის სამკურნალო წყლები, თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით საშუალო კონცენტრაციის გოგირდწყალბადიანი წყლების ჯვუფს მიეკუთვნება, ვინაიდან მასში გოგირდწყალბადის რაოდენობა 25—70 mg% აღწევს.

კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ, როგორც ჰიდროგეოლოგიური, ისე კლინიკური და ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადასტურებულია მენჯის წყლის აბაზანების დადებითი თერაპიული ეფექტიანობა მთელ რიგ დაავადებათა დროს.

ჰიდროგეოლოგების: ფალავას, კაჭარავას და სხვათა გამოკვლევებით, მენჯის მინერალური წყალი წარმოადგენს ზღვის მეტამორფიზებულ ქლორ-ნატრიუმიან წყალს, მინერალიზაციით 7—13 გრამამდე, რომელშიც გოგირდ-წყალბადი და გოგირდის პროდუქტები აღწევს 0,06 გრამამდე, მენჯის მინერალური წყლის ანალიზი კურლოვის ფორმულის მიხედვით ამრიგად გამოიხატება: $H_2S_{51,0}M_{10,8}$ $\frac{Cl_{95}}{Na_{91}}$ წყლის დღე-ლამის საერთო დებიტი 300—400 000 ლიტრს უდრის.

ცხრილი № 1

ბ უ რ ლ ი ლ ი №—11

მენჯის № 11 ბურლილის წყლის სრული ანალიზი, შესრულებული ვ. ულუხანოვის მიერ 1950 წ. ივლისში

მკვრივი ნაშთი გამოშრობილია 110° -ზე 10,7020 მ/ლ

იონები 1 ლ/წყალში	გრამები	მგ—ექ.	მგ—ექ %
ამონიუმი NH_4^+	0,0113	0,63	0,35
ნატრიუმი Na^+	3,8279	166,43	91,37
კალიუმი K^+	0,0451	1,15	0,63
მაგნიუმი Mg^{++}	0,0868	7,14	3,92
კალციუმი Ca^{++}	0,1360	6,80	3,73
ჰლორი Cl^-	6,1699	182,15	100
ბრომი Br^-	0,0190	0,24	0,13
იოდი I^-	0,0022	0,017	0,01
თიოსულფატი $\text{S}_2\text{O}_3^{--}$	0,0008	0,014	0,01
სულფიტი SO_3^{--}	0,0004	0,01	—
სულფატი SO_4^{--}	0,0048	0,10	0,06
ჰიდროსულფიდი HS^-	0,0244	0,74	0,41
ჰიდროკარბონატი HCO^{--} . . .	0,4337	7,11	3,90
	182,231	100	

არადისოცირებული მოლეკულები

გოგირდი	S	0,0006
რკინა	F_2O_3	0,0012
სილიციუმის მჟავა . . .	H_2SiO_3	0,0312
ბორის მჟავა	HBO_2	0,0296

საერთო მინერალიზაცია 10,8249

საერთო $\text{H}_2\text{S}-0,0510$ საერთო $\text{CO}_2-0,3800$

თავისუფალი $\text{H}_2\text{S}-0,0252$ თავისუფალი $\text{CO}_2-0,0673$

$\text{P}^{\circ}\text{h}-7,3$

კურლოვის ფორმულა: $\text{H}_2\text{S}_{51,0} \text{M}_{10,8} \frac{\text{Cl}_{95}}{\text{Na}_{91}} \text{t}^{\circ}-20,8^{\circ}$

მინერალური წყლის აირი თავისი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ეკუთვნის აზოტ-მეთანიანი აირების ტიპს. ამათ გარდა, მენჯის მინერალური წყალი შეიცავს კიდევ CO_2 , H_2S და იშვიათ აირებს ჰელიუმის და არგონის სახით. მინერალური წყლის იონურ-მარილოვანი და აირის შემადგენლობა მოცემულია ცხ. №—1 და №—2-ში.

ცხრილი № 2

აირთა შედგენილობა 0° და 760 მმ-ზე, წყლის ორთქლის ღრეულობის მხედველობაში მიღებით

ბურღილი № 11	მიღილიტრებში 1 ლიტ. წყალზე						მოცულობითი %/%			
	წყალი ნივთიერება	H_2S	CO_2	CH_4	ჰელიუმი ნივთიერება	N_2S	N_2	CO_2	CH_4	N_2O
წყალში გახსნილი აირი	107,04	16,36	34,17	32,15	24,36	15,28	31,92	30,04	22,76	
თავისუფლად გამოყოფილი აირი	18,28	0,11	0,50	5,96	11,71	0,60	2,74	32,60	64,06	
აირის მთლიანი შემცველობა	125,32	16,47	34,67	38,11	36,07	13,14	27,67	30,41	28,72	

მენჯის მინერალურ წყალს გამოსავალთან დაბალი წნევა აქვს, ამიტომ მინერალური წყლის ექსპლოატაცია წარმოებს სააბაზანოში წყლის ხელოვნური გადაქაჩივით, ამჟამად მენჯის მინერალური წყლები მოქცეულია 5 საძიებო ბურღილში (№№ 4, 8, 9, 10, 11). გარდა ამ 5 ბურღილისა, ჯერ კიდევ მოქმედებაში არიან ბუნებრივი მინერალური წყაროები (№№ 1, 2, 3), რომელთა გამოსავლები დაკავშირებულია ე. წ. პალეოცენის კირქვებთან. მენჯის მინერალური წყაროების დებიტი უზრუნველყოფს კურორტის როგორც დღევანდელ მოთხოვნილებას, ისე მის პერსპექტიულ მოთხოვნილებებსაც. მინერალური წყლის დეტალური ძიება ჯერ დამთავრებული არ არის და ზუსტი ცნობები მის საერთო რესურს. ზე ჯერ კიდევ არა გვაქვს. გეოლოგ. მ. ფალავას უკანასკნელი გამოკვლევებით, მენჯის მინერალური წყლის საბადო.

მოთავსებულია კოლხეთის ველის ვრცელი ტერიტორიის სილრმეში, მინერალური წყლის უდიდესი მარაგით: დადგენილია ჰიპერთერმული მინერალური წყლის შემაღვენლობაც.

ჰ ა ვ ა. კურორტი მენჯი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ ნაწილში. შავი ზღვის სიახლოვე ამ დაბლობთან და კავკასიონის მოსაზღვრეობა, რომელიც იფარავს მას ჩრდილოეთის ცივი ქარებისაგან, გარკვეულ გავლენას ახდენენ კურორტის ჰავაზე.

ფიონური ხასიათის ატმოსფერული დენები, რომლებიც გაბატონებულია კურორტზე, დიდ გავლენას ახდენს კლიმატურ კომპლექსზე; წლის ცივ პერიოდში მათ შემოაჭვთ დამატებითი სითბო და იწვევენ ტენიანობის მაჩვენებლების შემცირებას. ზაფხულის პერიოდში კი ფიონების გავლენით ადგილი აქვს მაღალ ტემპერატურას და დიდ სიმშრალეს. მეორე სახის ქარები — ზღვის ბრიზები თავისი გამაგრილებელი და ზომიერი ტენიანობით დადებითად მოქმედებენ წლის თბილი პერიოდის კლიმატზე (ჭირაქაძე).

კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევები

ჭირველი კლინიკური დაკვირვება მენჯის წყლის აბაზანების მოქმედების შესახებ ადამიანზე, ჩატრებულ იქნა ექიმი ი. ჩხეტიას მიერ, ხოლო დაკვირვებათა აღწერა ჭირველად მოახდინა ვ. გერსამიამ, რომლის მონაცემებით, მენჯის სამკურნალო წყლის აბაზანები კარგ შედეგს იძლევა გულისა და სისხლძარღვთა სისტემის, კერძოდ ჰიპერტონიული სნეულების, სამოძრაო ორგანოთა და სხვ. დაავადების დროს. ა. ელენტის დასკვნით, მენჯის აბაზანებები დადებითად მოქმედებენ უანგვა-ალდგენით პროცესებზე. შ. ფარჯანაძე, ქ. შელეგია და ა. თოფურია მუშაობდნენ რა გულის კუნთის დისტროფული ცვლილებების შესწავლაზე, მივიღნენ დასკვნა-მდე, რომ მენჯის წყლის აბაზანები გარკვეულ გავლენას ახდენს ვენურ წნევაზე, სისხლის ნაკადის სისწრაფეზე და არტერიულ წნევაზე. ამავე დროს, ავადმყოფთა კლინიკური მდგომარეობა საერთო გაუმჯობესებას განიცდის. შემდეგში აღნიშნული მონაცემები დაზუსტებული იყო შ. ფარჯანაძის და რ. გოგიძედაშვილის მიერ, რომლებიც დაკვირვებას აწარმოებდნენ ცირკულაციაში არსებული სისხლის რაოდე-
ს

ნობაზე, სისხლის ნაკადის სისტრაფეზე და ვენურ წნევაზე მიოკარდიოდისტროფიების და ჰიპერტონიული დაავადების დროს. აღნიშნული ჰემოდინამიკური მაჩვენებლები დიდ უმრავლეს შემთხვევაში იცვლებოდნენ უკეთესობისაკენ ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად.

შ. ფარჯანაძის და ექ. ს. ბერიშვილის გამოკვლევებით დასტურდება, რომ ჰიპერტონიული დაავადების დროს (მწვავე ცდები) უმრავლეს შემთხვევაში მენჯის წყლის ზეგავლენით კლებულობს სისხლის წებოვნება.

შ. ნუცუბიძის დაკვირვებიდან ირკვევა, რომ ჰიპერტონიული დაავადების კომპლექსური მკურნალობა მენჯის წყლის აბაზანებით და სამკურნალო ვარჯიშით უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე მარტო მენჯის წყლის აბაზანებით მკურნალობა.

ვ. ცინცაძის კლინიკური დაკვირვებით ჰიპერტონიით დაავადებულ ავადმყოფებზე, დიდ უმრავლეს შემთხვევაში, დასტურდება სისხლის წნევის დაქვეითება ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად.

ნ. ოქროპირიძის კლინიკური მასალიდან ჩანს, რომ მენჯის აბაზანებით მკურნალობა კარგ შედეგებს იძლევა პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადების შემთხვევებში (რაღიკულიტები, ლუმბო-იშიალგია და სხვ.).

ვ. ჩახავა იკვლევდა მენჯის წყლის აბაზანების ზეგავლენას ქალთა სასქესო ორგანოების ქრონიკულ ანთებით პროცესებზე, რის შედეგადაც ის კარგ თერაპიულ ეფექტს აღნიშნავს.

ჩატარებული კლინიკური დაკვირვებები ადამიანის ორგანიზმზე მენჯის წყლის გავლენის შესახებ დადასტურებული იყო მთელი რიგი ექსპერიმენტული დაკვირვებებითაც.

ე. კვიცარიძემ და გ. ჩიმიკაძემ ექსპერიმენტულად შეისწავლეს მენჯის წყლის აბაზანის გავლენა ცხოველების ჰემოდინამიკურ სისტემაზე. მათი მონაცემებიდან ირკვევა, რომ მენჯის წყლის აბაზანის ზეგავლენით ცხოველებში ხდება სისხლის წნევის დაქვეითება, პერიფერიული სისხლის ძარღვების გაფართოებით.

მეცნ. მუშ. რ. გოგიძედაშვილის მიერ ექსპერიმენტულად იყო შესწავლილი მენჯის წყლის აბაზანის გავლენა ცხოველებზე იშემიური (ნეფროგენული) ჰიპერტონიის დროს. ავტორის დაკვირვებებიდან ჩანს, რომ ცალკეული აბაზანის მოქმედების შედეგად წნევა კლებულობს საკმაოდ დიდ ფარგლებში—30—40 m.m. ამასთანავე, იშვიათდება მაჯა, რაც გრძელდება 2—3 საათი.

ზემოთ მოყვანილი ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც ეხება მენჯის მინერალური წყლის გავლენას ორგანიზმზე, აგრეთვე საკუთარი გამოცდილების მიხედვით, შემუშავებულ იქნა ამ კურორტზე მკურნალობის ჩვენებანი და უკუჩვენებანი, რაც დართულია წიგნის ბოლოში.

გთხის აბაზანიგის დანიშნის ჭავე

1. მენჯის სამკურნალო წყალი მძლავრად მოქმედ საშუალებას წარმოადგენს, რის გამო მისი დანიშვნა ავადმყოფისათვის ექიმის მიერ გასინჯვის გარეშე დაუშვებელია. ავადმყოფი დაწვრილებით უნდა იყოს წინასწარ გამოკვლეული და აბაზანა უნდა დაენიშნოს მხოლოდ წინააღმდეგ ჩვენებების გამორიცხვის შემდეგ. უმჯობესია პირველ ორ დღეს ავადმყოფს პროცედურები არ დაენიშნოს. ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფი ეჩვევა ადგილმდებარეობას (აკლიმატიზაცია) ექიმი კი შეისწავლის მას.

2. თუ ავადმყოფი თავს სუსტად გრძნობს, აღნიშნავს დაქანცულობას, თუ ის აგზნებულია ან აქვს სიცხე (იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ავადმყოფს სუბფებრილური სიცხე აქვს ქრონიკული ინფექციური პოლიართრიტის ან ჩვენთვის ცნობილი ინფექციის ნიადაგზე) აბაზანები არ დაინიშნება.

3. ავადმყოფისათვის პროცედურის დანიშვნის დროს უნდა შეივსოს საკურორტო წიგნაკი, საღაც. იქნება აღნიშნული აბაზანის რაოდენობა, ტემპერატურა, ხანგრძლიობა. გარდა ამისა, ექიმმა უნდა ჩასწეროს წიგნაკში ავადმყოფის დიაგნოზი, სისხლის წნევა, მაჯა და სხვ. იმ შემთხვევაში,

თუ ავადმყოფი საჭიროებს აბაზანის მიღების დროს ექიმის მეთვალყურეობას, ეს აღნიშნულ უნდა იქნეს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმი დარწმუნებული არ არის, რომ ავადმყოფი აბაზანას კარგად აიტანს, საჭიროა თითონ დაესწროა; აბაზანის მიღებას და თვალყური აღევნოს ავადმყოფის მდგომარეობას.

4. ექიმმა უნდა დაარიგოს ავადმყოფი, რომ აბაზანის წინ ორი საათის განმავლობაში არ მიიღოს ისეთი პროცედურები, რომლებიც მას დაჭანცავს; ის უნდა ერიდოს როგორც ფსიქიკურ, ისე ფიზიკურ გადაჭანცვას.

5. ავადმყოფს აბაზანა უნდა დაენიშნოს მსუბუქი საუზმიდან ნახევარი საათის შემდეგ (ჭიქა რძე, მაწონი ან ჩაი პურის ნაჭერით); დაუშვებელია აბაზანის მიღება უზმოთ ან მაძლარ კუჭზე.

6. თუ ავადმყოფს ერთდაიმავე დღეს უნიშნავენ ორ პროცედურას, ექიმი უნდა ეცადოს, რომ პროცედურებს შორის იყოს შუალედი რამდენიმე საათი; უმჯობესია ბალნეოპროცედურა დაინიშნოს დილით, სხვა სახის პროცედურა კი აბაზანის მიღებიდან 3—4 საათის შემდეგ ან საღამოთი.

7. აბაზანის დანიშვნის დროს ექიმმა უნდა დაარიგოს ავადმყოფი, რომ იგი აბაზანის მიღების დროს არ აჩქარდეს, ტანისამოსი დინჯად გაიხადოს, აბაზანაში ისე მოთავსდეს, რომ წყალი მკერდის კუნთამდე ფარავდეს (ძუძუს დვრილებამდე), აბაზანაში უნდა იყოს წყნარად და უმოძრაოდ. აბაზანიდან ამოსვლის შემდეგ უნდა მოიცადოს მოსასვენებელ ოთახში ნახევარ საათამდე, ხოლო შემდეგ სანატორიუმში 1—2 საათი დაწვეს ლოგინში.

კომპლიქსური გაურნალობის სამაღასებრო ელემენტი

თანამედროვე კურორტოლოგია იმ დასკვნამდე მივიღა, რომ დაავადებული ორგანიზმის მკურნალობის ეფექტიანობა გაცილებით მეტია მაშინ, როდესაც კურორტზე, გარდა ერთი მოქმედი ფაქტორისა, ხდება სხვა სამკურნალო კომპლექსურ ფაქტორთა გამოყენებაც. მაგალითად, თუ კურორტი ძირი-

თადად ბალნეოლოგიურია, გარდა ბალნეოლოგიური ფაქტორისა, ავადმყოფს უნიშნავენ აგრეთვე სხვა სამკურნალო ფაქტორს: კლიმატურს, აეროჰელიოთერაპიას, ფიზიოთერაპიას, სამკურნალო ფიზკულტურას, დიეტურ კვებას, სამკურნალო დოზირებულ სიარულს და სხვ. ამრიგად, შერჩეული ანუ კომპლექსური მკურნალობა შეტ ეფექტიანობას იწვევს, თუ კომპლექსში შემავალი სამკურნალო ელემენტები მეცნიერულად სწორად, მიზანშეწონილად დაენიშნება ავადმყოფს. ამრიგად, კომპლექსური მკურნალობის ელემენტების სწორად შერჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ასეთი წესით მკურნალობა ექიმისაგან მოითხოვს ღრმა ცოდნას, რადგან შეუსაბამო კომპლექსური მკურნალობის დანიშვნას შეიძლება ავადმყოფისათვის საზიანო შედეგიც მოჰყვეს.

ქვემოთ ჩვენ მოგვყვავს ის ზოგიერთი სამკურნალო საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მენჯის წყლის აბაზანებით მკურნალობის პარალელურად.

1. სანატორიული რეჟიმი. ავადმყოფისათვის სანატორიული რეჟიმის დაცვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მისი ჯანმრთელობისათვის, ასევე ჩვევების გამოსამუშავებლად. ამიტომ მკურნალი ექიმი და სანატორიუმის მთელი პერსონალი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოიქცენ სანატორიული რეჟიმის წესიერად შესრულებას.

2. სამკურნალო კვება. როგორც ცნობილია, მენჯში, ძირითადად სამკურნალოდ მიემგზავრებიან გულის, სისხლძარღვთა სისტემის და სამოძრაო ორგანოთა სნეულებით ავადმყოფები, აღნიშნულ ავადმყოფთათვის სამკურნალო კვების დანიშვნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, გულის და სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ცილოვან ნივთიერებათა ექსტრაქტების, ცხარე და მლაშე საჭმლის შეზღუდვას, რაც ხელს უწყობს ორგანიზმის განტვირთვას ნივთიერებათა ცვლის შედეგად გამოყოფილი მავნე ნივთიერებისაგან. იმის მიხედვით, თუ როგორია გულის ფუნქციური მდგომარეობა, შეიძლება დანიშნულ იქნეს სხვადასხვა სამკურნალო კვება. მაგალითად, თუ გულისა და სისხლძარღვთა სისტემა კომპენსაციის სტადიაშია, მაშინ ვა-

ძლევთ ყველაფერს, გარდა ხორცის ნაწარმისა. რომელსაც ვჩერდავთ, თუ კომპენსაცია დარღვეულია, ამ შემთხვევაში ინიშნება მაგიდა № 10 პევზნერით. კარგ შედეგებს იძლევა აგრეთვე ხილის დღეები: ორ კვირაში ან კვირაში ერთხელ ავადმყოფს აძლევენ 1 კგ ვაშლს ან სხვა ხილს 100 გ შაქართან ერთად; ასეთი დიეტი ახდენს ორგანიზმის განტვირთვას (ალნიშნული დიეტის დროს ავადმყოფი უმჯობესია იწვეს, რაღაც კალორიული შემცირებულია).

სამოძრაო ორგანოთა რევმატიზმული წარმოშობის დაავადებისას მოშლილია ნახშირწყლოვანი, ცილოვანი და ქლორიდების ცვლა, რის გამოც, ასეთ ავადმყოფებს, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შევუზღუდოთ ნახშირწყლები, ცილები და ქლორიდები, ასეთი შეზღუდული კვება ხელს უწყობს ორგანიზმის მომატებული რეაქტივობის შემცირებას. რაც შეეხება ნიკრისის ქარის ნიადაგზე წარმოშობილ სახსრების დაავადებას, ამ დროს ზღუდავენ უმთავრესად პურინის ჯგუფით მდიდარ ნივთიერებებს (ლვიძლი, თირკმელი, ტვინი, ცერცვი, მჟაუნა და სხვა) — ძაგიდა № 6. ინფექციური ართრიზის და კონტრაქტურების დროს ენიშნებათ, მაგალითად, მაგიდა № 15.

3. სამკურნალო ვარჯიში. გულის და სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს მიზანშეწონილ სამკურნალო ვარჯიშს შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს გულის ფუნქციური მდგომარეობა. როგორც ცნობილია. ვარჯიშის შედეგად ძლიერდება კუნთოვანი სისტემის ტონუსი, როგორც ჩონჩხის, ისე გულის კუნთისა, ეს ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გაძლიერებას (გაუმჯობესებას), გავლენას ახდენს ლიმფის მიმოქცევაზე, ნერვულ სისტემაზე, ნივთიერებათა ცვლაზე და სხვ., ყველა ეს კი ზოგადად აუმჯობესებს როგორც კარდიოვასკულარული სისტემის, ისე მთელი ორგანიზმის მდგომარეობას.

სამკურნალო ვარჯიშის დანიშვნა არ შეიძლება გულის და სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მწვავე პერიოდში ან როცა ავადმყოფს აქვს გულის და სისხლის ძარღვების სკლეროზული ცვლილებების შედეგად სტენოკარდია, ანევრიზმა და სხვ. სამოძრაო ორგანოთა დაავადების დროს სამკურ-

ნალო ვარჯიშს ფართო გამოყენება აქვს, ვინაიდან იგი ხელს უწყობს დაზიანებულ სახსრებში სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას, სახსრის მოძრაობის აღდგენას, კონტრაქტურის მოსპობას და საერთო ტონუსის გაძლიერებას. იგი შეიძლება დანიშნულ იქნეს როგორც აბაზანის მიღების დღეებში (ნაწილობრივ), ისე აბაზანიდან თავისუფალ დღეებში. კონტრაქტურების და მოძრაობის შეზღუდვის შემთხვევებში ფართოდ გამოიყენება მექანოთერაპია.

4. მასაჟი. გულის და სისხლძარღვთა სისტემის დაავადების დროს ფართო გამოყენება აქვს მასაჟს, ვინაიდან მისი საშუალებით ხდება სისხლის და ლიმფის მოძრაობის გაძლიერება. რაც ხელს უწყობს პერიფერიიდან სისხლის ნაკადის აჩქარებას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, აძლიერებს კუნთების, სისხლის და ლიმფის საღინარების ტონუსს, ამიტომ მასაჟი შეიძლება დანიშნულ იქნეს გულით დაავადების დროს, როგორც აბაზანების მიღების (ნაწილობრივი), ასევე აბაზანისაგან თავისუფალ დღეებში (მთლიანი). აბაზანის მიღების დღეებში ზოგადი მასაჟი არ ინიშება. ვინაიდან იგი წარმოადგენს საკმაოდ დამტკირთავ პროცედურას. უმჯობესია მასაჟიც და სამკურნალო ვარჯიშიც ჩატარდეს აბაზანამდე ერთი საათით აღრე ან აბაზანის მიღებიდან 3—4 საათის შემდეგ.

5. ტერენკური კარგი საშუალებაა გულის დაავადებათა მკურნალობის კომპლექსში. მისი გამოყენება მოითხოვს ექიმის მხრივ ავადმყოფის გულდასმით შესწავლას: რამდენად მისალებია ამა თუ იმ ავადმყოფისათვის ეს უკანასკნელი ან როგორი მარშრუტები უნდა დაენიშნოს მას და სხვ. თუ ტერენკური დანიშნულ იქნება სწორად, მას შეუძლია გულის კუნთის ტონუსის გაძლიერება. საერთოდ, სასურველია ტერენკური ინიშნებოდეს აბაზანისაგან თავისუფალ დღეებში.

არ შეიძლება ტერენკურის დანიშვნა, კარღიოსკლეროზის დროს, რომელსაც თან ერთვის სტენკარდია, ჰიპერტონიული დაავადების მძიმე შემთხვევებში და აორტის სკლეროზის დროს, როდესაც აღგილი აქვს მის მკვეთრ გაფართოებას ან ანევრიზმას, სისხლძარღვთა სისტემის ისეთი დაავადებისას,

რასაც თან ერთვის ანგიონევროზული მოვლენები (თავის ტკივილი, გულისწასვლა, ტაქიკარდია და სხვ.).

6. ჰაერის აბაზანა. გულის, სისხლძარღვთა და სამოძრაო ორგანოთა დაავადების დროს ხშირად იყენებენ ჰაერის აბაზანებს. აღნიშნული აბაზანები ნერვულ სისტემაზე დამამშვიდებლად მოქმედებს, იწვევს ორგანიზმის ტონუსის გაძლიერებას, ამავე დროს, ის ახდენს ორგანიზმის გამობრძმედას და გავარჯიშებას.

ჰაერის აბაზანის მისაღებად ავადმყოფი გახდილი წვება ტახტზე ან ფეხზე დგას სპეციალურად მოწყობილ ჰაერის სააბაზანოში. ჰაერის აბაზანა ინიშნება ყოველდღიურად წყლის აბაზანის მიღების დღეებში ერთხელ, ხოლო წყლის აბაზანისაგან თავისუფალ დღეებში - ორჯერ. პირველ დღეს უნიშნავენ 5—10 წუთს, ხოლო შემდეგ ყოველდღიურად უმატებენ 5—10 წუთს და ხანგრძლიობა აყავთ 60—90 წუთამდე.

7. ფიზიოთერაპიული პროცედურები. აღნიშნული პროცედურების გამოყენებას გულის და სისხლძარღვთა სისტემის, სამოძრაო ორგანოთა და სხვა დაავადებათა მკურნალობის კომპლექსში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ეს პროცედურები ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული მკურნალი ექიმის მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი პროცედურები: ულტრამაღალი სიხშირის ელექტრული არე, დარსონვალი, დიათერმია, გალვანიზაცია, ულტრაიისფერი სხივები, ინფრაწითელი სხივები და სხვ. როგორც ცნობილია, აღნიშნულ პროცედურებს აქვს ანალგეზიური, ანტისპაზმური და დესენსიბილიზირების თვისებები, ამიტომ მათი გამოყენება აბაზანების მიღებისას ან აბაზანებიდან თავისუფალ დღეებში მიზანშეწონილია, როგორც კარდიოვასკულარული, ისე სამოძრაო ორგანოთა, პერიფერიულ ნერვულ, გინეკოლოგიურ და სხვა დაავადებათა დროს სათანადო დოზირების დაცვით. მაგალითად, გულის არეს დიათერმია უნდა დაინიშნოს ფრთხილად, თვალყური უნდა ვაღევნოთ ავადმყოფის მაჯას, ტკივილის შეგრძნებას გულის არეში, თუ მაჯა გახშირდა და ტკივილი დაიწყო, პროცედურა უნდა შევწყვიტოთ. ინიშნება

0,5—0,6 A, 5—15 წ. ხანგრძლიობით. გულის არეს დარ-
სონვალი ინიშნება 5—10 წუთის ხანგრძლიობით.

ულტრამაღალი სიხშირის ელექტრულ არეს უნიშნავენ
ჰიპერტონიული დაავადების დროს (ფეხის გულზე, ერთი ელე-
ქტროდით). და ლებულობენ კარგ შედეგებს, განსაკუთრებით
იოლი ფორმების და კლიმაქტერიული. ჰიპერტონიის დროს.
ფართო გამოყენება აქვს გალვანურ საყელოს, რომელიც იწ-
ვევს სისხლის წნევის დაჭვეითებას, აუმჯობესებს ძილს, ამცი-
რებს სისხლის მიქცევას თავში და სხვ; დენის ძალა—10—20
mA, 10—15 წუთის ხანგრძლიობით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ულტრაისფერი სხივე-
ბის გამოყენება სამოძრაო ორგანოთა დაავადების დროს. პირ-
ველ 3—4—5 პროცედურას უნიშნავენ დაავადებულ სახსარზე
ერითემული დოზებით, რაც იწვევს ტკიფილის მოსპობას ან
შემცირებას, ხოლო შემდეგ გადადიან ზოგად დასხივებაზე და-
მზოგავი დოზებით (რევმატიზმული პოლიართრიტის დროს).
ინფექციური ართრიტის დროს იყენებენ 2—3 ბიოდოზით და
თანდათანობრივ აპყავთ 8 ბიოდოზამდე. კომპლექსში შედის
აგრეთვე ინფრაწითელი სხივები სოლუქსის ან სხვა ხელსა-
წყოების სახით. რაც აგრეთვე კარგ შედეგებს იძლევა, როგორც
გამაუტკივარებელი საშუალება სახსრების, კუნთების და პე-
რიფერიული ნერვების დაზიანების დროს.

8. მედიკამენტოზური მკურნალობა. მთელ რიგ დაავა-
დებათა დროს, როგორიც არის გულის და სისხლძარღვთა
სისტემის, სამოძრაო ორგანოების, პერიფერიული ნერვული
სისტემის და სხვა დაავადებანი, ხშირად გვიხდება ამა თუ იმ
მედიკამენტის დანიშვნა; როგორც ხელის შემწყობი საშუა-
ლება ავადმყოფის მკურნალობაში, ეს ლონისძიებაც შედის
საერთო კომპლექსში.

9. ფსიქოთერაპია და საუბარი. პავლოვის მოძღვრების
საფუძველზე, მფორე სასიგნალო სისტემა (მეტყველება) ადა-
მიანის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს, მას უაღრე-
სად დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის მკურნალობის პრო-
ცესში; ექიმი ახლოს უნდა იდგეს ავადმყოფთან და სწვდე-
ბოდეს მის სულიერ განცდებს, ახდენდეს მის სათანადო ანა-

ლიზს, დამაჯერებელი საუბრით და მოქმედებით მან უნდა შთააგონოს ავადმყოფს, რომ მისი განკურნება აუცილებლად მოხდება, უნდა დაარწმუნოს ის, რომ სათანადო მკურნალობას და რეჟიმის წესიერ დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის ჯანმრთელობისათვის და სხვ. ამის გარდა, ექიმი ფრთხილი უნდა იყოს დიაგნოზის დასმაში და კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს ავადმყოფისათვის დიაგნოზის გამოცხადების დროს. აღწერილია შემთხვევები, როდესაც დიაგნოზის გამოცხადების შემდეგ ავადმყოფი უფრო ცუდად გამხდარა, ამიტომ უმჯობესია დიაგნოზის გაცნობის წინ მკურნავმა ექიმმა ჩატაროს წინასწარი მოსამზადებელი საუბარი იმ მიზნით, რომ დაავადების სიმძიმე რამდენადაც შესაძლებელია, შეამსუბუქოს.

გულის და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი

- 1. მიოკარდიოდისტროფია.** გულის კუნთის დისტროფიული ცვლილებების ისეთ სტადიაზი, როდესაც სისხლის მიმოქცევა მოშლილია და ადგილი აქვს პირველ და პირველ — მეორე ხარისხის უკმარისობას, აბაზანების დანიშვნა შეიძლება შემდეგი წესით: პირველ ორ დღეს, როგორც წესი, ავადმყოფი არ ღებულობს პროცედურას, იგი ეჩვევა იმ ახალ გარემოს, რომელშიც მოხვდა, ექიმი დაწვრილებით შეისწავლის ავადმყოფს, ახდენს ყოველმხრივ გამოკვლევებს და მესამე დღეს უნიშნავს აბაზანას $34-35^{\circ}$ ტემპერატურით, 5—8 წუთის ხანგრძლიობით. შემდეგი 6—7 აბაზანა ინიშნება დღეგამოშვებით იმავე ტემპერატურისა, ხოლო დროს ვუმატებთ ყოველ დღე 2—3 წუთს, სანამ არ ავიყვანთ 15 წუთამდე. ასეთი ტემპერატურის აბაზანის დანიშვნა მიზანშეწონილია იმ მოსაზრებით, რომ დასაწყისში ავადმყოფი ეჩვევა პროცედურებს, ექიმი შეისწავლის ორგანიზმის რეაქტივობას აბაზანისადმი, და რაც მთავარია, აღნიშნული ტემპერატურის აბაზანების დროს გულის კუნთი იმყოფება შედარებით მოსვენებულ მდგომარეობაში, რაც იწვევს მის გამაგრებას და ტონჭსის გაძლიერებას;
- 2. ფარჯანაძე.**



ექვსი ასეთი აბაზანის შემდეგ ვიწყებთ აბაზანის წყლის ტემპერატურის თანდათანობით დაკლებას და ის დაგვყავს 32—33°-დე. ისეთი ტემპერატურის აბაზანაში, სადაც H_2S -ის რაოდენობა შედარებით მეტია, ზოგიერთი განოკვლევების მიხედვით ხდება გულის კუნთის გავარჯიშება, ის იწვევს გულის კუნთის ტონუსის გაძლიერებას, რაც საჭიროა მისი ყოველდღიური მუშაობის დროს. თუ ავადმყოფი დღეგამოშვებით აბაზანას კარგად იტანს, მეშვიდე აბაზანის შემდეგ შეიძლება ის დაინიშნოს ყოველდღიურად. ავადმყოფმა სულ უნდა მიიღოს დაახლოებით 15—17 აბაზანა. თავისუფალ დღებში ავადმყოფს უნდა დაენიშნოს ფიზიოთერაპიული პროცედურები ნერვული სისტემის გასამაგრებლად ან რომელიმე სხვა თანდართული დაავადების სამკურნალოდ.

გარდა აბაზანებისა, ალნიშნულ დაავადებათა მკურნალობისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ვარჯიშის კომპლექსი და სამკურნალო სეირნობის (ტერენკურის) სათანადო მარშრუტები.

მედიკამენტებიდან ზოგიერთ შემთხვევაში ავადმყოფს ვუნიშნავთ მსუბუქ საგულე საშუალებას, ისიც იმ შემთხვევებში, თუ ავადმყოფს შეშუპებები ემჩნევა ქვედა კიდურებზე ან თუ ლფიძლში აქვს შეგუბებითი მოვლენები. შეიძლება დაენიშნოს მაგალითად, *Jnf. adonis vernalis* დიურეტინთან ერთად და სხვ.

ზემოჩამოთვლილი ლონისძიებების გარდა, ყოველ მხრივ უნდა დავიცვათ სანატორიული რეჟიმი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვებას: ავადმყოფს უნდა დაენიშნოს სათანადო სამკურნალო კვება პეზნერის მიხედვით—მაგიდა № 10.

2. კარდიოსკლეროზი

გულის კუნთის სკლეროზული ცვლილებების დროს მენჯის აბაზანებით მკრუნალობა მოითხოვს მეტ ყურადღებას, აქაც, როგორც საერთოდ, პირველ ორ დღეს ავადმყოფს არ ვუტარებთ პროცედურებს და ხდება მისი ყოველმხრივი

შესწავლა — დამუშავება (ამ შემთხვევებშიც აბაზანების დანიშვნა შეიძლება I, II—III ხარისხის დეკომპენსაციის დროს).

მესამე დღიდან ავადმყოფს ვუნიშნავთ აბაზანას 35° ტემპერატურით, 5—8 წუთის ხანგრძლიობით. აბაზანის მიღების შემდეგ მეორე დღეს მას ვასვენებთ. მესამე დღეს ვუნიშნავთ აბაზანას 35° ტემპერატურით. 8—10 წუთის ხანგრძლიობით, მეოთხე დღეს კიდევ ვუნიშნავთ აბაზანას 35° ტემპერატურით, 10—12—15 წუთის ხანგრძლიობით. ერთ დღეს ვასვენებთ, შემდეგ კი ვუნიშნავთ ყოველ დღე 35° — 34° — 33° — 32° აბაზანას 15 წუთის ხანგრძლიობით; თუ ავადმყოფი იღლება, შეიძლება ყოველი სამი-ოთხი აბაზანის შემდეგ დავასვენოთ; თუ 15 წუთის ხანგრძლიობის აბაზანა ლლის ავადმყოფს, მაშინ აბაზანას ვაკლებთ ხანგრძლიობას და დაგვყავს 10—12 წუთამდე. აბაზანების რაოდენობა, ე. ი. მკურნალობის კურსი, უნდა უდრიდეს 15—18, აქაც ისევე, როგორც გულის კუნთის დისტროფიული ცვლილებების დროს, შეიძლება გამოვიყენოთ ფიზიოთერაპიული პროცედურები, განსაკუთრებით იოდით იონიზაცია—15—20 mA, ამის გარდა, ნაჩვენებია სამკურნალო ფიზკულტურის კომპლექსის ფართოდ გამოყენება და ტერენ-კური, მაგრამ სპეციალისტის მეთვალყურეობით (თუ არ არის გამოხატული გვირგვინოვანი არტერიების მხრივ პათოლოგიური მოვლენები). ავადმყოფს ენიშნება სამკურნალო კვება—მაგიდა № 10 (პევზნერით).

მედიკამენტებიდან შეიძლება ავადმყოფს დავუნიშნოთ საკიროების მიხედვით ესა თუ ის საგულე საშუალება, და ბოლოს, აქაც ისევე, როგორც სხვა დაავადების დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ავადმყოფისათვის დღის რეჟიმის დაცვას, რასაც მკურნალმა ეჭიმმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

3. გულის განკი

გულის მანკის მკურნალობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ეჭიმმა, ვინაიდან მინერალური წყლის აბაზანები ყოველგვარი მანკის დროს არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს.

აბაზანები ცუდად მოქმედებს აორტის სარქველთა მანკის კომპენსაციის დარღვევის შემთხვევებში.

რაც შეეხება ორკარიანი სარქველის დაზიანებას, განსაკუთრებით თუ იგი რევმატიზმული პროცესების შედეგად არის გამოწვეული, მენჯის აბაზანებით მკურნალობა კარგ შედეგებს იძლევა, თუ სათანადო იქნება დაცული მკურნალობის წესი (მწვავე რევმატიზმის გადატანილან 4—5 თვის გავლის შემდეგ).

ა) ორკარიანი სარქველის უკმარისობა. როგორც ცნობილია, ორკარიანი სარქველის უკმარისობა იშვიათად მიმდინარეობს მხოლოდ სარქველთა დაზიანებით, მას ხშირად თან სდევს მარცხენა ვენური ხვრელის შევიწროება, რის გამოც დაავადება უფრო მძიმე მიმდინარეობას იღებს, ამიტომ ეს მანკი აბაზანების მიღებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა და ექიმისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვს. აბაზანების დანიშვნის დროს შემდეგნაირად უნდა მოვიქცეთ.

როგორც წესი, პირველ ორ დღეს ექიმმა ყოველ მხრივ უნდა შეისწავლოს ავადმყოფი, მესამე დღიდან მას უნდა დაენიშნოს აბაზანა და ისიც დღეგამოშვებით, დაახლოებით 5—6—8 აბაზანა და თუ ავადმყოფი აბაზანებს კარგად იტანს, ამის შემდეგ შეიძლება დაენიშნოს ის ორი დღე ზედიზედ და შემდეგ ისევ დასვენება, ე. ი. ყოველი ორი აბაზანის შემდეგ მესამე დღეს დასვენება. აბაზანის ხანგრძლიობა უნდა უდრიდეს 5—7—10—12 წლის, ტემპერატურა 35° — 34° — 33° . აქ, რასაკვირველია, საჭიროა ექიმმა თავისი შეხედულებით ან შეამციროს ტემპერატურა, ან მოუმატოს იმის მიხედვით, თუ როგორ იტანს ავადმყოფი პროცედურას. აბაზანების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12—14.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ დაავადების დროს სამკურნალო ვარჯიშის სხვადასხვა კომპლექსის გამოყენებას.

მედიკამენტების გამოყენება ამ მანკის დროს იშვიათად გვპირდება, თუ მანკი კომპენსაციის მდგომარეობაშია, მაგრამ თუ გვაქვს კომპენსაციის მოშლა, ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ესა თუ ის საგულე საშუალება. ინიშნება სამკურნალო კვება, მაგიდა № 10.

4. ჰიპერტონიული დაავადება

ჰიპერტონიული დაავადების მკურნალობა მენჯის აბაზანებით, როგორც სათანადო დაკვირვებებმა დაადასტურა, საკმაოდ კარგ შედეგებს იძლევა და I—II ხარისხის დეკომპენსაციის შემთხვევებში, თუ სისხლის წნევა არ აღემატება 200 m. m. აბაზანები უნდა დანიშნულ იქნეს დასაწყისში დღეგამოშვებით, ჯერ 2—3 აბაზანა, ხოლო შემდეგ ორი აბაზანა ზედიზედ და მესამე დღეს დასვენება, ე. ი. 3 დღეში ორი აბაზანა. აბაზანის ტემპერატურა უნდა იყოს 34° — 35° , ვინაიდან ჰიპერტონიული დაავადების დროს თბილ აბაზანებს უფრო კარგად იტანენ ავადმყოფები; ხანგრძლიობა 5—15 წუთამდე. აბაზანათა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 14—16, გარდა ამისა, მკურნალობის კურსში უნდა შეტანილ იქნეს ფიზიოთერაპიული პროცედურები, დიათერმია თირკმლებზე—ულტრამალალი სიხშირის ელექტრული არე ფენის გულზე ან კაროტიდული სინუსის მიღამოზე, ზოგადი დარსონვალი, გალვანური საყელო კალციუმით. ყველა ეს პროცედურა უმჯობესია დანიშნულ იქნეს აბაზანებიდან თავისუფალ დღეებში ან აბაზანების მიღებიდან 4—5 საათის შემდეგ. განსაკუთრებით უნდა იქნეს გამოყენებული სამკურნალო ვარჯიშთა კომპლექსი. ამასთან ერთად, უნდა დაცულ იქნეს სათანადო დიეტა № 10 და სანატორიული რეჟიმი.

5. ენდარტერიოტები

ენდარტერიიტის ისეთი სახეების დროს, რომლებიც ქრონიკულად მიმდინარეობს და როცა გამოხატულია სკლეროზული ცვლილებები, ვუნიშნავთ მთლიან აბაზანას 36° , შეიძლება აგრეთვე აღგილობრივი აბაზანის დანიშვნა 37° — 38° , უმჯობესია ეს უკანასკნელი ოთხკაშერიანი აბაზანის სახით გაკეთდეს. შეიძლება დაინიშნოს საერთო აბაზანა შთელი მკურნალობის განმავლობაში 14—16, ხოლო აღგილობრივი დამატებით 12—14 აბაზანა. ყურადღება უნდა მიექცეს გუ-

ლის გვირგვინოვან არტერიას. თუ გამოხატულია სკლეროზული ცვლილებები, აბაზანას ნიშნავენ დიდი სიფრთხილით.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ენდარტერიტი მიმდინარეობს სუბფებრილური ტემპერატურით და აჩქარებული ერითროციტების დალექვის რეაქციით, საჭიროა აბაზანების დანიშვნამდე ავადმყოფმა რამდენიმე დღის განმავლობაში მიიღოს სითბოს ადგილობრივი პროცედურები (ადგილობრივი თბილი აბაზანები უ. მ. ს. დენი და სხვ.), აგრეთვე სტრეპტოციდი, უროტროპინი და სხვა მედიკამენტები, შემდეგ ის ფრთხილად უნდა გადავიყვანოთ მენჯის აბაზანაზე.

7. ფლებითი

ქრონიკულად მიმდინარე ფლებიტის დროს (მწვავე მოვლენების გავლიდან 2—3 თვის შემდეგ) ინიშნება აბაზანა 35° — 36° , თუ გულის მხრივ დაავადების მოვლენები არ არის აღნიშნული, ავადმყოფმა შეიძლება მიიღოს 16—18 აბაზანა. დასაწყისში 2—3 აბაზანა დღეგამოშვებით, შემდეგ კი შიგადაშიგ თითო დღის დასვენება. დამატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიოთერაპიული პროცედურები, განსაკუთრებით ულტრაიისფერი სხივები.

8. ზოგადი არტერიოსკლეროზი

მკურნალობისათვის ნაჩვენებია არტერიოსკლეროზის ისეთი ფორმებით დაავადებულნი, როცა არ არის გამოხატული მოვლენები ც. ნ. სისტემის მხრივ, აბაზანები ინიშნება დასაწყისში დღეგამოშვებით; 2—3 აბაზანის შემდეგ 3 დღეში ორი აბაზანა, 34° — 35° — 36° , სულ 12—14 აბაზანა. ამის გარდა, ნაჩვენებია იოდით იონიზაცია, განსაკუთრებით იმ დღეებში, როდესაც ავადმყოფი აბაზანას არ ღებულობს, ხოლო აბაზანის მიღების დღეებში კი აბაზანის მიღებიდან 4—5 საათის შემდეგ. ნაჩვენებია ტერენკური, სიმსუქნის შემთხვევაში გასაჟი და აგრეთვე სათანადო მაგიდა: № 8, № 10 (სკლეროზით დაავადებულთათვის).

სამოძრაო ორგანოთა დაავადებანი

1. ჩეცილივული ფორმის რევმატიზმული პოლიართოიდის დასაწყისში აბაზანები უნდა დაენიშნოს ავადმყოფს დღე-გამოშვებით, ფრთხილად, ორმ არ მივიღოთ გამწვავება, 35° — 36° , ხოლო თუ ავადმყოფი კარგად იტანს, 2—3 აბაზანის შემდეგ უნდა მიეცეს 3 დღეში ორი აბაზანა, სულ—14—16. მიზანშეწონილია აგრეთვე ულტრაიისფერი სხივების გამოყენება, დასაწყისში 4—5 პროცედურა ერითემული დოზით, ხოლო შემდეგ დაზოგვითი დოზებით. შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე უ. მ. სიხშირის ელექტრული არე და დია-თერმი, იონიზაცია სალიცილმჟავა ნატრიუმით. იმ შემთხვე-ვაში, თუ ავადმყოფს გაუმწვავდა დაავადება და ჩეცილივი განვითარდა, საჭიროა სალიცილის მჟავას პრეპარატის გა-მოყენება და აბაზანების შეწყვეტა. აქაც საჭიროა ავად-მყოფს დაენიშნოს სათანადო დიეტა.

2. ქრონიკული ინფექციური პოლიართოიდი (არასპეციფიკური)

ქრონიკული არასპეციფიკური ინფექციური პოლიართოი-ტების დროს მენჯის აბაზანა ნაჩვენებია და იგი შეიძლება დაინიშნოს შემდეგი წესით: პირველი ორი აბაზანა საორიენ-ტაციოდ დღეგამოშვებით და თუ ავადმყოფი კარგად იტანს, ყოველ სამ დღეში 2 აბაზანა. სულ 8—10 აბაზანა, ხოლო ამის შემდეგ, თუ ავადმყოფი მას კარგად იტანს, შეიძლება გადავიყვანოთ ყოველდღიურ აბაზანებზე. ტემპერატურა 35° — 36° — 37° . ხანგრძლიობა 5—15 წუთი, სულ 18—20 აბაზანა. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფს აბაზანის ატანა უძნელდება, მაშინ უნდა შევამციროთ მისი ხანგრძლიობა, ხოლო შუა-ლედი აბაზანების შორის გავადიდოთ. სახსრების მოძრა-ობის შეზღუდვის შემთხვევაში ვუნიშნავთ სამკურნალო გარ-ჯიშს, მასაუს, შეიძლება დამატებით დავუნიშნოთ დიათერ-მია, სოლუქსი, უ. მ. ს. დენი და ულტრაიისფერი სხივებიც. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ

მეღიყამენტები: პირამიდონი, სალიცილიმუავა ნატრიუმი და სხვ. იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფს სახსრებთან ერთად აქვს აგრეთვე მოვლენები გულის მხრივაც, ანგარიში უნდა გაეწიოს გულის დაზიანების ხარისხს და ამის შესაბამისად ჩატარდეს ავადმყოფის ინდივიდუალური მკურნალობა.

3. ხახსართა სამსედრო-ტრავშული კონტრაქტურა და ართრიტი

აღნიშნულ დაავადებათა დროს საჭიროა უფრო ინტენსიური მკურნალობის ჩატარება. აბაზანები შეიძლება დავუნიშნოთ ყოველ დღე, თუ ამის საშუალებას იძლევა გული და სისხლძარღვები. აბაზანის ტემპერატურა უნდა იყოს 36° — 37° , აბაზანის რაოდენობა 18 — 20 , დამატებით ამისა, უნდა დაინიშნოს მასაჟი, სამკურნალო ვარჯიში, მექანოთერაპია, სოლუქსი, დიათერმია, უ. მ. ს. ელექტრული არე, ინფრარუუზი, ულტრაიისფერი სხივები და სხვ.

სამოძრაო ორგანოთა დაავადების ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაზიანებულია გარტო ქვედა და ზედა კიდურების სახსრები, შეიძლება დაინიშნოს აღგილობრივი აბაზანები, ასეთ შემთხვევებში აბაზანის ტემპერატურაც და მათი რაოდენობაც შეიძლება გაცილებით მეტი იქნეს, ვიდრე ის აღწერილია ზემოთ. აღგილობრივ აბაზანათა რაოდენობა შეიძლება 20 — 25 , ხოლო ტემპერატურა 36° — 38° , ხანგრძლიობა 5 — 15 — 18 წუთი. ნახევარაბაზანის დანიშვნის დროს შეიძლება მივცეთ 18 — 20 აბაზანა 36° — 37° , 5 — 20 წუთის ხანგრძლიობით.

4. ტრავშულ დაავადებათა მკურნალობა

ა) ლულოვანი ძვლების ოსტეომიელიტი. მაცისტაში ლულოვანი ძვლების ოსტეომიელიტს შემდეგნაირად მკურნალობენ: დაზიანებულ კიდურს აბაზანაში ჩაუშვებენ ისე, რომ ხელსაყრელი პირობები შეიქმნეს სექვესტრის გამოსვლისთვის; ამას ხშირად მოჰყება პატარა სექვესტრის გამოყოფა და ხვრელის დახურვა. იმ შემთხვევაში, თუ პროცესი გამწვავდება, აბაზანებს შეწყვეტენ და

თუ რენტგენოგრაფიით სეჭვესტრი აღმოაჩინეს, ავადმყოფს უკეთებენ ოპერაციას. ოპერაციიდან 4—7 დღის შემდეგ (თუ ტემპერატურა ნორმალურია) ხელახლა უნიშნავენ მაცესტის საერთო აბაზანას, მხოლოდ პირველი 3—4 აბაზანის განმავლობაში ავადმყოფი დაზიანებულ კიდურს არ ჩაუშვებს აბაზანაში, აბაზანების t° აღწევს 37° — 38° , ხოლო 3—4 აბაზანის შემდეგ t° უკლებენ 35° — 34° -დე. ზაფხულის თვეებში კიდევ უფრო ქვევით— 32° — 33° . აბაზანების ხანგრძლიობა 5—15 წუთი. აბაზანის საერთო რაოდენობა უდრის 16—20. ასეთივე წესით შეიძლება ვუმკურნალოთ ანალოგიურ დაავადებებს მენჯშიც.

ბ) კანის დაკუნთების ნაწიბუროვანი და ქრონიკული ინფილტრატი. ავადმყოფებს ენიშნებათ აბაზანა იმის მიხედვით, თუ სად არის განვითარებული ნაწიბური ან ინფილტრატი, თუ ავადმყოფს შეიძლება გაუკეთდეს აბაზანა ალგილობრივ, ამ შემთხვევაში ის ინიშნება ყოველ დღე, 36° — 38° , 8—15—18 წუთის ხანგრძლიობით, სულ 20—24 აბაზანა. თუ საჭიროა მთლიანი აბაზანა, ამ შემთხვევაში ინიშნება 16—18 აბაზანა, 36° — 37° , ხანგრძლიობა—5—15 წუთი. აბაზანებთან ერთად სამკურნალო ვარჯიშის და ბასაუის კომბინაცია კარგ შედეგს იძლევა. დაზიანებულ არეზე შეიძლება დავუნიშნოთ იოდით იონიზაცია.

გ) ძვლის მოტეხილობანი. ძვლის მოტეხილობის ისეთ შემთხვევებში, როდესაც ძვლის კორძი კარგად არის განვითარებული, მენჯის აბაზანა შეიძლება დაინიშნოს სამ დღეში ორი, თუ გულის მხრივ არ აღინიშნება მოვლენები; თუ ავადმყოფი კარგად იტანს, შეიძლება ყოველ დღე— 35° — 36° — 37° , 15 წუთი, სულ—18—20 აბაზანა, გარდა ამისა, ავადმყოფს უნდა დაენიშნოს სამკურნალო ვარჯიში და მასაჟი.

ნერიფერიული ცისტომის დაავადებანი

პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი. აბაზანები ინიშნება უმთავრესად საერთო 36° — 37° — 38° , სამ დღეში ორი აბაზანა, სულ 16—18 აბაზანა; იშვიათად, თუ ამის საშუალებას იძლევა გული და ავადმყოფი

აბაზანას კარგად იტანს, შეიძლება დაინიშნოს 20 აბაზანა. ხანგრძლიობა—5—15 წუთი. დამატებით შეიძლება ავადმყოფს დაენიშნოს დიათერმია, გალვანიზაცია ან ოთხკამერიანი აბაზანა. ნაჩვენებია სამკურნალო ვარჯიში აბაზანამდე 1/2-საათით ადრე ან აბაზანიდან 2—3 საათის შემდეგ.

გინეკოლოგიური დაავადებათა დროს ნაჩვენებია ზოგადი აბაზანები 34° — 36° , 5—15 წუთის ხანგრძლიობით, სულ 15—18 აბაზანა. გარდა ზოგადი აბაზანებისა, ავადმყოფს ენიშნება საშოს შესხურება 38° — 40° ტემპერატურის მენჯის წყლით იმავე დღეს, რა დღესაც ავადმყოფი ღებულობს საერთო აბაზანას, მაგრამ აბაზანის მიღებამდე 30 წუთით ადრე. ყოველი 4 შესხურების შემდეგ—ერთი დღე შესვენება, სულ 15—18 შესხურება. ნაჩვენებია აგრეთვე ულტრაიისფერი დასხვება მცირე მენჯის არეში, იწყებენ 2—3 ბიოდოზით და აჰყავთ 4—5 ბიოდოზამდის. ან შეიძლება გამოვიყენოთ მზით მკურნალობა. საჭირო შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ ჰორმონები: ფოლიკულინი, სინესტროლი და სხვ.

შეხორცებების შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ დიათერმია უ. მ. სისხირის ელექტრული არე, იოდით იონიზაცია. ნაჩვენებია აგრეთვე მასავი საშოს შესხურების შემდეგ და სამკურნალო ვარჯიში.

თუ ანთებით პროცესებს თან სდევს სისხლის დენა, ამ შემთხვევაში აბაზანების დანიშვნასთან ერთად ტარდება იონიზაცია ქლორკალციუმით.

კანის დაავადებანი

მენჯის სამკურნალო წყლები საკმაო ეფექტიანობით მოქმედებენ კანის ზოგიერთ დაავადებათა დროს, მენჯში შეიძლება ვუმკურნალოთ პარატრავმულ და პროფესიულ ეგზემას, რაღიუმით და რენტგენით გამოწვეულ დერმატიტებს, ქრონიკულ ჭინჭრის ციებას, კერატოზებს, არაშორს წასულ

სკლეროდერმიას და სხვ. აღნიშნულ დაავალებათა დროს აბაზანები ინიშნება როგორც ზოგადი, ასე აღგილობრივი 35° — 32° , დასაწყისში სამ დღეში ორი აბაზანა, ხოლო შემდეგ უოველ დღე, სულ 20 აბაზანა. შეიძლება აგრეთვე აღგილობრივი აბაზანებიც დაზიანებული ორგანოს მიხედვით.

ჩვენებანი და ფინანგდებითი განვითარები

გულისა და სისხლძარღვთა ნისტების დაავალებები

ა) გულის კუნთის დაზიანებანი 1. ქრონიკული რევმატიზმული მიოკარდიტი ნორმალური ტემპერატურით და ნორმალური ედრ-ით (მწვავე ან ჰემწვავე მოვლენებიდან 4—5 თვის შემდეგ) I და I-II ხარისხის დეკომპენსაციით.

2. მიოკარდიოლისტროფიები სხვადასხვა წარმოშობისა I და I-II ხარისხის დეკომპენსაციით.

3. ათაშანგის ნიადაგზე გამოწვეული გულის კუნთის დაზიანება I და I-II ხარისხის დეკომპენსაციით (სტენოკარდიისა და ანევრიზმის მოვლენების გარეშე).

ბ) გულის მანკი 1. ორგარიანი სარქველის უკმარისობა I და I-II ხარისხის დეკომპენსაციით (რევმატიზმული წარმოშობის მანკის მკურნალობა ნაჩვენებია მწვავე მოვლენების გავლიდან 4—5 თვის შემდეგ).

2. აორტალური სარქველების ნაკლოვანებანი მხოლოდ კომპენსაციისა ან 0—I ხარისხის მოშლის შემთხვევებში.

გ) სისხლძარღვთა დაავალებანი. 1. არტერიოსკლეროზი; 2. აორტის სკლეროზი; 3. სიფილისური წარმოშობის მეზოაორტიტი (სტენოკარდიისა და ანევრიზმის გარეშე); 4. თრომბანგიიტი განგრენის გარეშე; 5. თრომბოფლებიტის ნარჩენი მოვლენები მწვავე მოვლენების გავლიდან 2 თვის შემდეგ.

დ) ჰიპერტონიული დაავალება 1) I და II ხარისხის (თავის ტვინის ძარღვების სკლეროზის და სტენოკარდიის გარეშე) და თირკმლების ფუნქციის შენარჩუნებით.

სამოძრაო ორგანოთა (და ქირურგიული) დაავადებანი

1. მწვავე რევმატიზმის (ბუიო-სოკოლსკის დაავადება) ნარჩენი მოვლენები მწვავე რევმატიზმის გავლის შემდეგ არა უადრეს 4—5 თვისა.

2. ინფექციური და ტოქსიკური წარმოშობის ართრი-ტები;

3. ათაშანგის ნიადაგზე წარმოშობილი სახსრების დაავა-დება;

4. სახსრების ტრავმული დაზიანებები;

5. ნიკრისის ქარი და სახსრების დაავადებები ენდო-კრინული წარმოშობისა;

6. მძიმე მეტალებით მოწამვლის ნიადაგზე წარმოშობი-ლი სახსრების პროფესიული დაზიანებები.

ხერხებლის დაავადებები (არასპეციალუ-რი). 1. ქრონიკული ინფექციური და ტოქსიკური სპონდი-ლიტი;

2. სპონდილოზები.

ძვლების, კუნთებისა და მყესების დაავადე-ბანი. 1, ძვლის მოტეხილობა;

2. ოსტიტები და პერიოსტიტები ინფექციური წარმოშო-ბისა, მათ შორის ათაშანვური;

3. მიოზიტი, ბურსიტი და ტენიოვაგინიტი ტოქსიკონ-ფექციური და ტრავმული წარმოშობისა;

4. არამყარი კონტრაქტურები—ლერმატოგენური, მიოგე-ნური და ტრავმული წარმოშობის;

5. ტრავმული ოსტეომიელიტები.

ნერვული სისტემის დაავადებები

1. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებები;

2. а) პერიფერიული ნერვული სისტემის ტრავმული და ჭრილობით გამოწვეული დაზიანებები.

ბ) რაღიკულიტი, პოლირადიკულონევრიტი, ნევრალგია, ნევროფიბრომიოზიტი ინფექციური, რევმატიზმული, ინტოქ-

სიკაციის და მეორადი წარმოშობის: ხერხემლის, გინეკოლო-
 გიური ან სხვა სახის დაავადებათა გამო.

- გინეკოლოგიური და ავადებანი. 1. აღნექსიტე-
 ბი, პერიადნექსიტები (არატუბერკულოზური წარმოშობისა)
 მწვავე მოვლენებიდან 8 კვირის შემდეგ;
2. ქრონიკული მეტრო-ენდომეტრიტი;
 3. ქრონიკული ცერვიციტი, კოლპიტი, ვულვიტი;
 4. ქრონიკული პარამეტრიტი (არა უადრეს 8 კვირისა
 მწვავე მოვლენების გავლის შემდეგ);
 5. ქრონიკული პელვეო-პერიტონიტი;
 6. ოპერაციისშემდგომი ინფილტრატები და ექსუდა-
 ტები;
 7. საკვერცხეების ჰიპოფიზური ნორმალური ან დაპატა-
 რავებული საშვილოსნოთი.

კანის დაავადებანი

1. ქრონიკული ეგზემა; 2. ფსორიაზი; 3. პრურიტი; 4. ნევ-
 როდერმიტი.

წინააღმდეგჩვენებანი

1. ყველა სახის დაავადება მწვავე პერიოდში;
2. ყველა ორგანოს ტუბერკულოზი;
3. სტენოკარდია;
4. ნეფრიტი, ნეფროზი, ნეფროსკლეროზი, პიელიტი;
5. ლვიძლისა და ნალვლის ბუშტის დაავადება;
6. ავთვისებიანი სიმსივნეები;
7. ეპილეფსია, ფსიქოზები, ფსიქასტენია, ისტერია და
 მძიმე ფორმის ნევრასთენია;
8. გულის დეკომპენსაცია.



ს ა რ ჩ ე ბ ი

წინასიტყვაობა	3 გვერდი
კურორტ მენჯის სამკურნალო ფაქტორები და მათი გავლენა ორგანიზმები	5
მენჯის წყლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და გეოლოგია. კლი- ნიკურ-ექსპერიმენტული ჟამოკვლევები	5
მენჯის აბაზანების დანიშვნის წესი	10
კომპლექსური მკურნალობის სხვადასხვა ელემენტები	11
მკურნალობის მეთოდები	17
ნულის და სისხლძარღვოა სისტემის დაავადებანი	17
სამოძრაო ორგანოთა დაავადებანი	23
ნერვული სისტემის დაავადებანი	25
გინეკოლოგიური დაავადებანი	26
კანის დაავადებანი	26
ჩვენებანი და წინააღმდეგჩვენებანი	27

რედაქტორი ვ. გოგიძედაშვილი
ტექნიკაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ც. შახარაშვილი
გამომშენები ნ. გალუსტაშვილი

გადაეცა წარმოებას ასაწყობად 15. II. 53. ხელმოწერილია დასაბეჭ-
დად 25. III. 53. ანაწყობის ზომა $5,5 \times 9$ ქაღალდის ზომა $84 \times 108 | 32$
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 1.64. სააღრიცხვო ფორმათა
რაოდენობა 1,2 შეკვეთა № 45. უე 00779. ტირაჟი 1000

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი.

